



შპს „ელვა.ჯი“-ს კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც

დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
- სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული
შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია	11გვ.
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	11გვ.
3. ამონაგები	16გვ.
4. ხარჯები	17გვ.
5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	18გვ.
6. ძირითადი საშუალებები	18გვ.
7. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	20გვ.
8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	21გვ.
9. საწესდებო კაპიტალი	21გვ.
10. მოგების გადასახადი	21გვ.
11. გაუთვალისწინებელი გარემოებები	22გვ.
12. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები	22გვ.
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	23გვ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	2019	2018
	ლარი	ლარი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	165171	209930
სავაჭრო მოთხოვნები	57511	79787
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	81747	35096
მარაგები	114810	108486
- მზა პროდუქცია	60313	53423
- სხვა	1328	1828
ძირითადი საშუალებები	53169	53235
სულ აქტივები	419238	433300
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	367451	360554
სულ ვალდებულებები	367451	360554
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	51587	72546
სულ საკუთარი კაპიტალი	51787	72746
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	419238	433300

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	2019	2018
	ლარი	ლარი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	165171	209930
სავაჭრო მოთხოვნები	57511	79787
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	81747	35096
მარაგები	114810	108486
- მზა პროდუქცია	60313	53423
- სხვა	1328	1828
ძირითადი საშუალებები	53169	53235
სულ აქტივები	419238	433300
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	367451	360554
სულ ვალდებულებები	367451	360554
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	51587	72546
სულ საკუთარი კაპიტალი	51787	72746
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	419238	433300

დირექტორი /ჯულიეტა ჭელიძე/



მთავარი ბუღალტერი /სალომე კაკაურიძე

ს. კაკაურიძე

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	2019
ნეტო ამონაგები	ლარი
საქონლის გაყიდვიდან	1926632
მომსახურების გაწვიდან	16988
რეალიზებული პროდუქციის	
თვითღირებულება	-1341655
საერთო მოგება	601965
სხვა შემოსავალი	10365
დასაქმებულთა ანაზღაურება	-380328
ცვეთა და ამორტიზაცია	-11110
იჯარის ხარჯი	-25888
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო	
ხარჯი	-98474
სულ საოპერაციო ხარჯი	-505434
მოგება/(ზარალი)	96531

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	2019
	ლარი
ნეტო ამონაგები	1926632
საქონლის გაყიდვიდან	16988
მომსახურების გაწევიდან	
რეალიზებული პროდუქციის	-1341655
თვითღირებულება	601965
საერთო მოგება	10365
სხვა შემოსავალი	-380328
დასაქმებულთა ანაზღაურება	-11110
ცვეთა და ამორტიზაცია	-25888
იჯარის ხარჯი	-98474
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო	-505434
ხარჯი	96531
სულ საოპერაციო ხარჯი	
მოგება/(ზარალი)	

დირექტორი /ჯულიეტა ჭელიძე/



მთავარი ბუღალტერი /სალომე კაკაურიძე

ს. კაკაურიძე

კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	2019
	ლარი
კაპიტალი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	72746
განაწილება მესაკუთრეზე (მათ შორის დივიდენდი)	-117489
მოგება/(ზარალი)	96531
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	<u>51787</u>

კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	2019
კაპიტალი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	ლარი
განაწილება მესაკუთრეზე (მათ შორის	72746
დივიდენდი)	-117489
მოგება/(ზარალი)	96531
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	<u>51787</u>

დირექტორი /ჯულიეტა ჭელიძე/



მთავარი ბუღალტერი /სალომე კაკაურიძე

[Handwritten signature]

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	2019
	ლარი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>-39653</u>
სავალუტო კურსის ეფექტი	-5106
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	209930
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	<u>165171</u>

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	2019 ლარი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-39653
სავალუტო კურსის ეფექტი	-5106
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	209930
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	<u>165171</u>

დირექტორი /ჯულიეტა ჭელიძე/

ჯ. ჭელიძე



მთავარი ბუღალტერი /სალომე კაკაურიძე

ს. კაკაურიძე

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

„ელვა.ჯი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2010 წლის 28 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო კოდით 404882953. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, საბურთალოს რაიონი, იოსებბძის ქ. №49 ხოლო საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №95. დედა კომპანია შპს „ელვა.ჯი“-ს 100% წილის მფლობელია ნიკო კბილაძე (01024008648) ხოლო დირექტორი ჯულიეტა ჭელიძე (51001001694).

შპს „ელვა.ჯი“-ს სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია გახლავთ შპს „ელვა იმპორტი“ რომელიც რეგისტრირებულია 2012 წლის 16 ივლისს საიდენტიფიკაციო კოდით 404952306 .

ჯგუფის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ქართული თუ უცხოური ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გავრცელება, ხოლო დამატებითი საქმიანობაა საკურიერო მომსახურება და საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება შპს „ელვა.ჯი“-ს და მისი სრულ საკუთრებაში მყოფი შილობილი საწარმოს (შპს „ელვა იმპორტი“) ფინანსური

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ანგარიშგებებისაგან. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში („GEL“).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების გადანაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მომრავი საშუალებები 10 პროცენტი

კომპიუტერი და სხვა საოფისე ინვენტარი 10-20 პროცენტი.

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ ბუღალტრულ და სასაწყობე პროგრამებს ასევე ელექტრონულ საიტს . მისი ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ათ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებისა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოიანგარიშება წიგნების შემთხვევაში ინდივიდუალური თვითღირებულების მეთოდით ხოლო პრესის შემთხვევაში საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახური სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შეოსავალში ან სხვა ხარჯში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ იჯარად.).

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო ქირა აისახება მოგებაში ან ზარარში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და ბონუსები აღიარდება იმ წელს, როდესაც ჯგუფის თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შევსებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

ჯგუფის საქმიანობა განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან.

- წიგნების რეალიზაცია განთავისუფლებულია დღგ-ის ჩათვლის უფლებით
- ხოლო ჟურნალ-გაზეთები დღგ-ის ჩათვლის უფლების გარეშე

ჯგუფის დამატებითი საქმიანობა (საკურიერო მომსახურება და ვაჭრობა საკანცელარიო ნივთებით) ექვემდებარება დამატებითი ღირებულების გადასახდას. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე შემოსავლების პროპორციულად.

გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან და შეეხო კომპანიის მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპებს. ეს ცვლილებები შეეხო კომპანიის მიერ გავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 01 იანვრიდან) მანამ, სამამ არ მოხდება აღნიშნული მოგების გადანაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილებით, რეზიდენტ საწარმოს 2008 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული აკუმულირებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, უფლება აქვს ჩაითვალოს ამ პერიოდის მიხედვით

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

დარიცხული (დეკლარირებული) და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს დივიდენდის განაწილებაზე გათვალისწინებული მოგების გადახადების თანხისა. კომპანია აღარ აღიარებს მოგების გადასახადთან დაკავშირებულ გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდგომ.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება (მოგების განაწილებად ითვლება) ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული (ხარჯი რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივის უსასყიდლოდ მიწოდება; წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექტით დადგენილ ზღვრულ ოდენობას)

3.ამონაგები

	2019 ლარი
წიგნების გაყიდვა	1114965.87
ჟურნალ/გაზეთების გაყიდვა	804937.52
საკურიერო მომსახურება	16513.08
სხვა რეალიზაცია	7203.68
	<u>1943620</u>

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

4. ხარჯები

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა სხვა ადმინისტრაციულ ხარჯად

	2019 ლარი
მომსახურების ხარჯი	26441.38
კომუნიკაციის ხარჯები	11591.95
საკუროს სხვაობიდან მიღებული ხარჯი	10329.79
საპენსიო ხარჯი	7047.3
მომრავი ქონების ხარჯი	6146.42
სამეურნეო ხარჯი	5847.97
მარკეტინგული ხარჯი	5334.59
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	4907.07
მივლინების ხარჯი	4803.71
საკანცელარიო ხარჯი	3526.83
ბანკის საკომისიო	3157.4
პირგასამტეხლო	2506.41
მოგების გადასახადი	2256.04
ტენდერში მონაწილეობის ხარჯი	1180
წიგნის გამავრცელებელთა	1020
ასოციაციის საწევროს გადასახადი	
თანამშრომლის ტრენინგის ხარჯი	600
კომპიუტერის ხარჯები	330.1
ქონების გადასახადის ხარჯი	310.4
სხვა ხარჯები	1136.64
	98474

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2019
	ლარი
ქართული და უცხოური წიგნები	39461
საკანცელარიო საქონელი	1417
მაკულატურა (ჟურნალ/გაზეთები)	19434
საწვავი	1328
	61641

6. ძირითადი საშუალებები

ჩატარდა ჯგუფის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია რის შედეგადაც გამოვლენილი დანაკლისი ჩამოიწერა და გამოაკლდა 2018 წლის მოგება/ზარალს. ასევე გადახედილ იქნა საბუღალტრო პროგრამა სადაც ძირითადი საშუალებების ცვეთა არ აღირიცხებოდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით და გასწორდა რეტროსპექტულად. რამაც გამოიწვია 2018 წლის ცვეთის შემცირება. ამ გადაწყვეტილების შედეგად ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არის რეალური და უტყუარი. ამ გადაწყვეტილებამ ასევე ხელი შეუწყო მომავალში ძირითადი საშუალებების სწორად აღრიცხვას.

თვითღირებულება	1/1/2019	შემოსვლა	გასვლა	31/12/2019
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ოფისის აღჭურვილობა	15696	3770	5533	13932
კომპიუტერი და სხვა მოწყობილობები	18833	380	6090	13122
სატრანსპორტო საშუალებები	15888	11801	2156	25533
არამატერიალური აქტივები	45742			45742

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	1/1/2019	გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა		ცვეთა	31/12/2019
		ლარი	ლარი		
ოფისის აღჭურვილობა	9023	3978	2153		7198
კომპიუტერი და სხვა მოწყობილობები	8732	3858	1372		6246
სატრანსპორტო საშუალებები	4082	1036	3011		6058
არამატერიალური აქტივები	21084		4574		25659

საბალანსო ღირებულება	31/12/2019
	ლარი
ოფისის აღჭურვილობა	6735
კომპიუტერი და სხვა მოწყობილობები	6877
სატრანსპორტო საშუალებები	19475
არამატერიალური აქტივები	20083
	53169

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

7. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

ჯგუფს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს რამდენიმე ოფისი და სასაწყობო ფართი. ამ იჯარის საშუალო ვადა სამი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

იჯარა	2019 ლარი
ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	25887.5

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	2018
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	330	10672
ფულადი სახსრები ეროვნულ ბანკში	164841	199259
	165171	209930

9. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 200 ლარს

10. მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად „ესტონური მოდელზე“ გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

11. გაუთვალისწინებელი გარემოებები

ახალი კორონავირუსი (COVID-19), რომელმაც გავრცელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და რამდენიმე კვირაში მიიღო გლობალური პანდემიის სახე, სხვა ფაქტორებთან ერთად, მსოფლიოს ახალი ეკონომიკური და საზოგადოებრივი კრიზისის დაწყების ძირითადი მიზეზია, რამაც ფაქტიურად ეკონომიკის ყველა სფერო მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ასეთ ქვეყნებს შორის არის საქართველოც და გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ სუსტია და არ არის სტაბილური, არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეაფერხებს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას უახლოეს თვეებში. პანდემიით მიყენებული შესაძლო ზიანის მასშტაბების შემცირების მიზნით გატარებული ღონისძიებების გამო, ნაწილობრივ გაჩერებულია ეკონომიკური საქმიანობა. კომპანიის ხემძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის. სახელმწიფოთა შორის დაწყებულმა აკრძალვებმა საგრძნობლად შეამცირა კომპანიის მიერ შესყიდული საქონლის როგორც მიღება, ასევე გაყიდვების რაოდენობაც. აღნიშნულმა გარემოებამ შეამცირა კომპანიის შემოსავლები, თუმცა ის გავლენას არ იქონიებს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემოთქმული დამოკიდებულია საქართველოში და მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებზე და ხანგრძლივობაზე, ასევე იმის მიხედვით, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება მოცემული მდგომარეობა, პროგნოზი შეიძლება შეიცვალოს.

12. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია, რომ მოითხოვდეს განმარტებით შენიშვნებს. კომპანიის საქმიანობის პრაქტიკიდან გამომდინარე აგრძელებს საქმიანობას. რამე სახის არამაკორექტირებელი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა დამატებით განმარტებას, არ ფიქსირდება.

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორებისა და სხვა ხელმძღვანელი პირების მიერ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და მისი გამოცემის ნებართვა გაიცა 2020 წლის 1 სექტემბერს.

შპს „ელვა.ჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორებისა და სხვა ხელმძღვანელი პირების მიერ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და მისი გამოცემის ნებართვა გაიცა 2020 წლის 1 სექტემბერს.

დირექტორი /ჯულიეტა ჭელიძე/

ჯ. ჭელიძე



მთავარი ბუღალტერი /სალომე კაკაურიძე

ს. კაკაურიძე